პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 მაისი კვირა 1972

ფასი 2 კაპ.

ГАЗЕТА ВЫШЕЛА С 1920 ГОДА 3 ИЮНЯ

№ 118 (15331)

გეგმა და რიტმი — ყოველდღე!

ეს დღეები ჩაის პლანტაციებში

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარის კოლმეურნეებმა ჩაის ფოთლის ახალი მოსავლის პირველი ასეული ტონა ჩაის ფაბრიკაში გაგზავნეს. შეუწყვეტელ ნაკადად მოედინება ჩაი სოფლებიდან. საუბრობენ: ბრიგადირები ალეკო ბერიძე, ანზორ ბერიძე, ანზორ ბერიძე, ალეკო ბერიძე, ანზორ ბერიძე, ალეკო ბერიძე, ანზორ ბერიძე, ალეკო

დიდი საერთაშორისო მოვლენა

ბონი. დასავლეთ გერმანიის პროგრესული პარტიები და ორგანიზაციები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები და გაზეთების უმრავლესობა მიესალმებიან ხალხთა კეთილდღეობისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩურ ურთიერთობათა დამყარებას.

„ცივი ომის" 20 წლის პერიოდის შემდეგ ეს ბელჩურულებანი ახალ ეპოქას იწყებენ". — ნათქვამია გერმანიელთა მშვიდობის „ავრორის" პარტიის დღეს აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში. — ეს ხელშეკრულებანი მტკიცე საფუძველს ფარავენ მშვიდობას, გამორიცხავენ ძალადობას, როგორც პოლიტიკის საშუალებას. ცნობენ ევროპაში არსებული ხაზგარეშის ურღვევობას და ხახავენ ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის გზას".

„1972 წლის 17 მაისი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული თარიღი გახდა". — წერს გაზეთი „ზიუდდეოჩენ ცაიტუნგი".

დასავლეთი ბერლინი. დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ გერჰარდ დანელიუსმა გაზეთ „დი ვარჰაიტში" გამოქვეყნა სტატია, რომელშიც აღნიშნავს, თუ რა დიდი ხანთაშორისო მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიისა და პოლონეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულებებს. ეს ხელშეკრულებანი, წერს ავტორი, ნამდვილად არის ადაგირებული მშვიდობის, ევროპის დაძაბულობის შენელებისა და უშიშროების განმტკიცების პოლიტიკასთან. მათი რატიფიკაციისა ნიშნავს საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ყველა სოციალისტური სახელმწიფოების წარმატებას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და დასავლეთ ბერლინის იმ ძალების წარმატებას, რომლებიც აშკარად და მტკიცედ უმერდნენ მბარს ხელშეკრულებებს.

ბრაღა. განმარტავს რა საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციას, გაზეთი „რუდე პრავო" ამ ნაბიჯს უწოდებს „გადაწყვეტილებას. რომელიც სავსებით შეესაბამება მშვიდობის ინტერესებს".

რატიფიკაცია, წერს გაზეთი, უეჭველია თავის წვლილს შეიტანს ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნაში, რომლის დროს შეიძლება წარმატებით გადაწყდეს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა ურთიერთობის განვითარების საკითხები.

ბელგრადი. სსრ კავშირთან და პოლონეთთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაცია ისტორიული მოვლენაა, რომელსაც იუგოსლავია გულწრფელად მიესალმება და მხარს უჭერს, განუცხადა ტანიუგის საგარეგნოს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვიჩეს თავმჯდომარემ დ. ბიედიჩმა.

პარიზი. პარიზის ბევრი გაზეთი თავის კომენტარებში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიისა და პოლონეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულებათა რატიფიკაცია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმ პოლიტიკური ძალების სერიოზული წარმატებაა, რომლებიც მოითხოვენ რეალური სინამდვილის ცნობას, მხარს უჭერენ მშვიდობასა და თანამშრომლობას ევროპაში.

„ლუმანიტე" ამასთან დაკავშირებით წერს, რომ სოციალისტურ ქვეყნებთან დაახლოების პოლიტიკას, რომელსაც ბრანდტ-შელის მთავრობა ახორციელებს, მხარი დაუჭირა დასავლეთ გერმანიის ფართო საზოგადოებრიობამ.

აღმოსავლეთთან მეგობრობის პოლიტიკამ გაიმარჯვა

როგორც გაზეთი აღნიშნავს, რატიფიკაცია სახავს „ევროპის კონტინენტზე ვითარების გაჯანსაღების აქტიურ პროცესს".

ლონდონი. სარედაქციო სტატიაში „ტაიმსი" ეხება იმ ბრძოლას, რომელიც გაჩაღდა ბუნდესტაგში საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ. მან დაინახა, რომ გერმანიის ყველა დასავლეთელი მოკავშირე უაღრესად მტკიცე ფორმით მხარს უჭერდა ხელშეკრულებებს. და აქ უკანასკნელ როლს როდი ასრულებდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ნიქსონი, რომელიც მოშავალ კვირაში მოსკოვს გაემგზავრება".

მეზნა. „სსრ კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციას აწონიან ბევრ ადამიანებს, ეს ეხებათ ... ...

მოთხრობა

ტატეს ფიქრები

მწერალმა როსტომ ბეჟანიშვილმა დაწერა ვრცელი მოთხრობა „უკანასკნელი გადასარბენი“ ქართველი მემანქანის ცხოვრებიდან. ამ ნაწარმოებმა საკავშირო პროფკავშირებისა და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მიერ გამოცხადებულ მუშათა კლასის თემაზე დაწერილ საუკეთესო ნაწარმოების 1970-1972 წლების საკავშირო კონკურსში მიიღო წამახალისებელი პრემია. მთლიანად მოთხრობა იბეჭდება უურნალ „მნათობში“, ქვემოთ კი გაეცნობით ერთ თავს ამ მოთხრობიდან.

ეტი აღარ შემიძლია მოცდა, ისედაც ძალიან დავაგვიანე, — ოთხრა თბილისში გამგზავრების წინ მირიანმა ტატეს. ორი კვირის მერე კი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რკინიგზის ტრანსპორტის ფაკულტეტზე მისაღებ გამოცდაში ჩაპრიღლა, ბაბუას სირცხვილით თვალი ვეღარ გაუმართა.

— ბიჭო, ასე ცინცხალ რომ გაიქეცი, ახლა?

— შენგან გამიგია, ბაბუ, ცდა ბედის მონახევრეაო.

— ცდა საქმეა. შვილო, — უთხრა ტატემ, — შენ რომ დეპოში ერთი წელი მაინც გამუშავა, რაღაც შენი ხელით გაგიკეთებინა და საკუთარი თვალით გენახა, ასე არ გამოგაშანტურებდნენ ინსტიტუტიდან...

— იცი, ოო, კონკურსი იყო!

— როცა იქ მიხვალ, მაშინ კი არ უნდა ეთამაშო ბედს!

— შენ ხომ მითხარი, მოსამზადებელი თეორია არა მაქვსო, — ნაგბურტყუნა მირიანმა.

— ყველა ფულს გაიძახით! — დაიჯერა ტატემ. — ხან კლუბში მოღარედ მუშაობდი, ხან ფეხბურთელი იყავი... ვერ იქნა და ჭეშა ვერ ისწავლე, რომ გზას დაადგე!

— უმაღლესში ძნელი გამოცდებია, ბაბუ!..

— არაფერი არ არის ძნელი! შენ და შენი ამხანაგები ჯერ ლომდალმა დადიხართ, მერე კი უცებ თავბრისმტვრევით თბილისში მოსულმთ. თითქოს აქ დარჩენა სამარცხვინო იყოს! ბარე ხომ მოიარე, პატარა ბალი აღარა ხარ, მირიან!

— რომ იცოდე, ბაბუ, — გაიღიმა მირიანმა, — ჩემთან ერთი შემანქანე აბარებდა, თბილისს დეპოდან.

— მერე?

— ჩაირიცხა!

— ხედავ? — ხელები გაშალა ტატემ. — რატომ არ ჰკითხე, სად მოემზადე-თქო?

— რა ვიცი.

— იქნებ იმასაც იტყვი, რომ კერძოდ მოემზადებოდა?

— შეიძლება...

— მართლა ადგია შენთვის უმაღლესში შესვლა, — თქვა ტატემ. — ბიჭო, რატომ ვერ მიმხვდარხარ, მემანქანე კაცს რკინიგზის ტრანსპორტის ფაკულტეტზე ვინ ეტყოდა უარს?

— რას ამბობ?.. — სახე გაუნათდა მირიანს.

— მოემზადაო! — დაადგერა ტატემ შვილიშვილს. — ის კაცი ცხოვრებამ მოამზადა, მირიან!

— მე რაღა გავაკეთო? — თვალებში შეახედა პაპას მირიანი. — ის კაცი მემანქანე იყო... მე როდის რას მოვასწრებ?..

— სული თვალებში ნუ გეპარება, ბიჭო! — მხარზე ხელი დაკრა ტატემ. — ჩვენ ვანაა ასე არ დაიწყეთ? თუმცა მაშინ სხვა დრო იყო... — ჩაფიქრებულმა წაიდუდუნა ტატემ. — მერე დანგრეულ ქვეყანას ვაშენებდით...

— რა უნდა გავაკეთო, ბაბუ, დიპომში?

— როგორც ყველა ახალბედა, შენც ზეიინკლობით დაიწყებ, — უთხრა ტატემ. — მერე ვნახოთ. ხერხავს ნუ დაეღრიჯები. დრო მოვა და გასწავლიან ლოკომოტივს...

ის დღე იყო და მირიანმა დეპოში დაიწყო მუშაობა.

საქმე არ ეზარებოდა ნესტორა ლონღაძეს — მირიანის მემანქანეს ხშირად უამბნია ტატესათვის... მირიანი თურმე ელმავლის საკისრებს გულდაგულ გასინჯავდა, მემანქანეს შენიშვნა რომ არ მიეცა. განსაკუთრებულ სიფაქიზეს ცინის ლერწს იჩენდა. რადგან მაგნეტალი თუ გაიყინებოდა მატარებლის ყველა მუხრუჭი გამოვიდოდა მწყობრიდან. მირიანი თვალებგაფართოებული დასცქეროდა ნახაზებს, ყოველ ჯანჭიკს ამახსოვრებდა...

ლოკომოტივის მიღების დროს მემანქანესა და მის თანაშემწეს სულ ათ-თხუთმეტი წუთი ეძლეოდათ დრო, რასაც ზოგიერთი პორტფელის ჩასულ-გამოსულად ვერ იკმარებს. ნესტორა ლონღაძე ეკიდებოდა, რა სწრაფად და უშეცდომოდ აწყობდა მირიანი ორსექციან, ელექტრომოტორიან ელექტრომანქანას, სადაც ერთ გადამწყვარ მცველსაც შეიძლო ლოკომოტივის გაჩერება...

ხშირად უტყოდა ტატე შინმობრუნებულ, დაღლილ მირიანს:

„შვილო, თუ საკუთარი თავის მართვა-გაძღოლა არ შეგიძლია, ვერასოდეს ვერ წაიყვან ლოკომოტივს“.

საკუთარ თავს კი მართავდა მირიანი? აბა რა იყო, ვანთხოვდ. ბავშვანი ქვრივი, ქალი ეშეიცვალა და სირცხვილით დატანჯულ ღამეს შინ აღარ ათენებდა. რა იყო ეს, თუ არა საკუთარი თავის ცუდად მართვა?

„ალბათ ის ქალი ძალიან არ გიყვარს, მირიან! — ეუბნებოდა გუნებაში ტატე. — ძალიან რომ გიყვარდეს, — ქვეყანას გადაანგრევდით. შენ კი? გაიქეცი და ხმას არ იღებ! რა ეშმაკად გინდა ღამეში მუშაობა, ოცნება უმაღლესზე, თუ მინც გიყვარს, მისი დაცვა და გაფრთხილება არ შეგიძლია? თუ ვაჟაცი არა ხარ, რა ეშმაკად გინდა მთელი ქვეყნის ავლა-დიდება? თქვენ, მირიან, ხმალაძეო!

საკუთარ თავს მართავდა მირიანი?

— როგორ არ გრცხვენია, ბიჭო, — ეუბნებოდა გუნებაში ტატე. — ერთხელაც არ იკითხე ჩემი ამბავი. იქნებ უარს არ გეუბნები, შე დალოცვილო! იქნებ ღამეებს შენზე ფიქრში ვათენებთ?.. ლომმაინს გული გადაშლილი წიგნი როდია, ერთი ჩახედო და ყველაფერი ამოიკითხო. კაცის გული ცხრაკლიტულით არის დაკეტილი და როცა სიტყვით უარს გეუბნება, შეიძლება ყველაზე მეტად მაშინ გიფრთხილდება... ამას უნდა მიხვდე მირიან, ბავშვი აღარა ხარ...

„შენს ხაზზე, მირიან, წითელი ანთია, გასავალი დაკეტილი გაქვს. უყურებ წითელ შუქნიშანს და იცი, — უბედურებამდე ერთი ნაბიჯია. შეგიძლია თუ არა გადადგა ეს ერთადერთი ნაბიჯი?

„ხომ გახსოვს ჩემი დარიგება:

„ცუდ ამინდში იშვიათად ხდება მარცხი, კაცი ამ დროს ფხიზლად არის, კარგ ამინდში კი, როცა ყველაფერი გარკვევით მოჩანს, წუთიერად მოგიდუნდება, დაგეღლება თვალი და..

„ყველაფერი კარგად მოჩანს, მირიან, შენს ცხოვრებაში? იქნებ სიფხიზლე მოაღუნე, ცხოვრებას ერთი წუთით წაეძინე და წუთისოფლის ბორბალმაც ქვეშ მოგიყოლია...

„რა უფრო ძნელია, წუთისოფელი რომ მოგიგდებს ქვეშ და მოგგელავს, თუ?..

„არა, მემანქანის შეცდომა არ შეიძლება, — იმეორებდა ტატე, — ეხიზოლდ, მირიან! ორულ გუნებაზე ხარ, რეისში რა გინდა, შინ დაისვენე, ნერვები დაიწყნარე და მერე გამოდი სამუშაოდ.

„ხომ გახსოვს ჩემი დარიგება:

„მორულიდან როცა წყვილით გავდიეართ, მწვანე ყოველთვის ჩვენია. ამას ვიგეგა მემანქანის თვალი, არ უნდა მიეჩვიოს! ათასმეერთედ, მწვანე შენი არ იქნება და ეკნტს ქვემოდან მომავალს შესაკდები... დაიხსომე ეს, მირიან!

„როგორია შენი სიყვარულის გზა, მირიან? მწვანეზე მიდიხარ თუ წითელზე?..

„ისიც ხომ გითხარი, ერთხელ მემანქანე საღგურიდან მაშინ გავიდა, როცა ყველა გასასვლელ ხაზზე წითელი ენთო-მეთქი.. თვალმა მოატყუა-მეთქი...

„ეხლა ხომ არ გატყუებს თვალი, მირიან? იქნება შენი ცხოვრების ყველა გზა-ბილიკზე წითელი ანთია? არც უმაღლესი... არც სიყვარული... სით მიდის შენი მატარებელი?..

„ესეც ხომ მითქვამს შენთვის, დაგეიანებულ მატარებელს დისპეტჩერი ყველანაირად ხელს უწყობდა, საღგურებში გაუჩერებლად ატარებდა. მემანქანე მიეჩვია და ერთ საღამოს, როცა მიზეზით, გასასვლელზე რომ წითელი აუნთო... ვეღარ დაინახა! აქამდე ხომ დისპეტჩერი ეხმარებოდა...

„აქამდე ჩემ ფრთებქვეშ იყავი მირიან, მე ვერეკებოდი შენს მატარებელს. ხომ არ მიეჩვიე და კვლავ ლოლიავი ხომ არ გინდა? აი უცებ ავინთეს წითელი... შენ კი, მირიან, გეგონა სულ მწვანით იქლიდი ცხოვრებაში და ამ ერთმა წითელმა ისე შეგაშინა, ისე დაგაბნია, რომ გონს ვეღარ მოსულხარ...

„ხომ გახსოვს, რა გითხარი: ყოველ წუთს, როცა ლოკომოტივი მიგყავს, როგორი ამინდიც უნდა იყოს და დაღლილობისაგან ძილი გერეოდეს, უნდა დაინახო შენი შუქნიშანი.. შენი... რომელიც შენს გამსვლელ ხაზზე ანთია...

„შენ კი, მირიან, დაინახე ცხოვრებაში შენი შუქნიშანი? იქნებ მზია ერთადერთი, შინთეის გაჩაუთვნილი შუქნიშანია?.. შენ კი, გრცხვენია შინ მოხვიდე და ყველაფერი გულწრფელად მითხრა...

„თუ ელმავალზე, ღმერთი გაგიწყრა და ძილი მოგეერია, — ესეც ხომ გითხარი, — წამოდექი და ზეზეურად მართე ელმავალი: სველი ტილოთი სახე დაიხალე, რადიო ჩართე... მემანქანეს ხმამაღლა უპასუხე შუქნიშანზე, რომ შეხმიავ ხმამ გაგაფხიზლოს... ჯანდაბას, დისპეტჩერსაც დაელაპარაკე და რაიმე შეიკითხე, იქნებ მისი მაინც მოგერიდოს და...

„ასეთი ახალგაზრდა ხარ, მირიან, და უკვე ძილი მოგერია! აბა, ქალი თუ მართლა გიყვარს, შინ ვეღარ მოგიყვანია? გეშინია? გერდება? თუ თავმოყვარეობას უფრთხილდები? აი ეგ არის, ადამიანს რომ ღუპავს, როცა თავმოყვარეობასა და სიყვარულს ერთ სასწორზე ასწონი. სიყვარული ის არის, სხვა რომ გიყვარს და საკუთარ თავზე არ ფიქრობ. ეს დაიხსომე, მირიან...

„ჩემი სიცოცხლე ხაშურ-სამტრედიის უბანზე დავდიეარ, — გითხარი ერთხელ, — და ერთი დღე შეორეს არა ჰგავს, ყველათერი ნაცნობია ამ გზაზე, მაგრამ ყოველი რეისი მაინც თავისებური და უჩვეულო. ასეთი უნდა იყოს კაციც, თავისებური და უჩვეულო...

„შენ კი ჩვეულებრივი ხარ, მირიან! ჩვეულებრივი თავკერძა ბიჭი, რომელსაც გეწყინა ჩემი სიტყვა, ეკვი არ გამიფანტე, შენს სიყვარულში არ დამარწმუნე. თვრთონ დახატე ჯოჯოხეთი და ახლა იმ დახატული ჯოჯოხეთისა ვეშინია... ასე არ ვარგა, მირიან! თუ ვაჟაცი ხარ, ნამდვილი ჯოჯოხეთისაც არ უნდა შეეშინდეს, თორემ დახატული რა სათქმელია...



„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

გაზაფხულის კეიზაჟები

ზემოთ — კომუნარების ბაღში; ქვემოთ — რუსთაველის პროსპექტზე.

ზ. დათუაშვილის ფოტო.

ახალი ლიტერატურა

60 წელი შეუსრულდა ვასილ ლაფერაშვილს, პოეტს, მთარგმნელს და ლიტერატურულ-ლექსიკოლოგიურ ნაშრომებსა და სტატიებს, ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემულ ენციკლოპედიურ ლექსიკონებს ლიტერატურის სხვადასხვა დარგებიდან. ... ჩვენი მკითხველი საზოგადოებისა. ... შირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების გამგეობებმა ვ. ლაფერაშვილს გულთბილად მიულოცეს დაბადების 60 წლისთავი და უსურვეს ახალი შემოქმედებითი წარმატებები.

ვასილ ლაფერაშვილი

ჩაის ბუჩქები გილიმის

ჩაის ბუჩქები გიღიმის,
როცა დილის მზე კაშკაშებს,
შენს გასაოცარ ხელებზე
თვალი დაიურჩათ ვაჟკაცებს.
დიად შრომაში გაიწრთო
შენი ხელები ქებული.
დღისით მზე გეალერსება,
ღამით ვარსკვლავთა კრებული.
გატკბობს ბუჩქების სურნელი,
გეტრფის ცქრიალა ფოთოლი —
კალათი კალათს გაჰყურებს
მწვანე ფოთლებით მოთოვლილს.
ოქროს ვარსკვლავმა შეგამკო,
და ხალხმა გითხრა დიდება,
ქვეყნის მადლობის ნათელით
შენი თვალები ბრწყინდება.

დედა

ის ვინ იყო, შენს თვალებში
პირველად რომ ჩაიხედა?
— დედა!
ვინ იყო, რომ სამშობლოსთვის
სიყვარული დაგიბედა?
— დედა!
ვინ იყო, რომ ღლე და ღამე
გზრდიდა სპეტაკ, ლამაზ გედად?
— დედა!
ვინ იყო, რომ უშენობა
მისთვის იყო მძიმე სევდა?
— დედა!
ვინ არის, რომ დაგლუღუნებს,
შენთვის იქცა ცისფერ მტრედად?
— დედა!
ვინ არის, რომ სიცხადეში
და სიზმარშიც შენა გხედავს?
— დედა!

□

ივანე შაიშმელაშვილი

ვანო სარაჯიშვილს

ვარდობის მაისში ვაკაცურ სილალით
ცხრა კარებს გაალებს ზღაპრული სიღნაღი!
და უცდის სასწაულს — ვინ იცის, ესტუმრო,
ვით მთვარე ბინდბუნდში, ვით წვიმა გვალვაში, —
შენს კერას შუქად და ცვარნამად ეპკურო,
ბულბულად ქცეული შეხვიდე ქალაქში!
არ სძინავთ გვირილებს, ვარდების ზღვა-ბაღებს,
უნაზეს ნარგიზებს, შუბოსან ზამბახებს.

ვიცდიან, გელიან: ვინ იცის გამართლდეს
და ერთ-ერთ კარებში, ბილიკით ჩვეულით,
ვითარცა ცისკარი — მოდგეს და განათდეს
ის შენი სიცოცხლე, ლეგენდად ქცეული.
ხომ უნდა მიგიღონ ვით აბესალომი
და ბედკრულ ეთერის გადმოგცენ სალამი!

□

გიორგი შეთეკაური

მყინვარწვერი

ქარები ჭიუხ-ჭიუხ დაჰქრიან,
მთა აღიმართა მაღალი თხემით,
— ჰე-ჰეი, მითხარ, მთაო, რა გქვია?
— მყინვარწვერია სახელი ჩემი!

მე დავიბადე შორეულ დროში,
როდის? არ ვიცი! აღარც კი მახსოვს!
მას შემდეგ მფარავს ხან თოვლის თოში,
ხანაც მზე სხივთა ზარნიშებს მაქსოვს.

— საქმიანობა?
— სულ ფეხზე დგომა,
ეს არის ჩემი წადილი, ნდომა
და თუ ჩამოვჯექ, ვიქცევი ბარად
და მაშინ ჩემ თავს დავკარგავ მარად.

— ოჯახი?
— რა მთაც ჩემს ახლოს ელავს,
ხედავ? — სულ ჩემი და-ძმაა ყველა!
— მითხარ, მყინვარო, თუ მტკივა რამე?
— ო, როგორ არა, დღეა თუ ღამე
სიმაღლე მტკივა და მხრებზე, თავზე
წამლად თოვლი და ყინული მადევს!
— სადმე წასულხარ და გიმგზავრია?
იქნებ საკავკაზო ოდესმე დათმე?
— აქ საქართველოს შუქი მავლია
და წავიდოდი აქედან სადმე?!

□

შალვა ჩირაძე

შეხვედრა, მგზავრობა!

ალოცავ მიწის,
საყვარელ მიწის,
მშობელი მიწის
სუნთქვით გამთბარი,
ჩემი სიცოცხლე
მღერის და იწვის
გახარებული ამ მზით,
ამ მთვარით.
საითაც წავალ,
საითაც წავალ
ვერ ვიგრძნობ დაღლას,
ტკივილს სამძიმეს...

ყველგან ვისუნთქავ
მშობლიურ ჰაერს,
ყველგან ქართული
ცა გამიცინებს.
ოქტომბრის შუქით
გასწორდა ბევრი
ბედის ბილიკი
გამრუდებული.
შეხვედრა,
მზემდე აუტანია
მთებს
ჩემი ტკბილი
ბამულ-დიდებული!



ᲩᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲘ

ᲐᲞᲝᲚᲝᲜ ᲪᲐᲜᲐᲕᲐ — კონსტანტინე გამსახურდია და ხალხური შემოქმედება. წიგნი II. გამომცემლობის რედაქტორი ლ. ცერცვაძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც. გვ. 100.

ᲙᲐᲠᲐᲯᲘ ᲛᲣᲛᲚᲐᲫᲔ — ყირიმის მიწაზე (მოთხრობა). რედაქტორი ჯ. ნიკაბაძე, მხატვარი ე. ადაპია. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. გვ. 134.

ᲖᲘᲕᲘ ᲕᲐᲠᲓᲝᲣᲚᲐᲜᲘᲫᲔ — გონჯი მზეთუნახავი (ამერიკული ჩანახატები). რედაქტორი გ. ბედინეიშვილი, გამომცემლობის რედაქტორი ნ. ხომერიკი. მხატვარი ს. ციხაია. გამომცემლობა „მერანი“ გვ. 180.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲨᲣᲠᲚᲘᲐ — ქართველები იტალიის მთებში (სერიიდან „ქართველები დიდ სამამულო ომში“. სერიის სარედაქციო კოლეგია: კ. ლორთქიფანიძე, გ. ნატროშვილი, ვ. სიხარულიძე, გ. ყურაშვილი, დ. შანშაშვილი). წიგნის რედაქტორი ვ. სიხარულიძე, მხატ. ლ. ზარაფიშვილი. გვ. 120.

ᲨᲔᲒᲕᲔᲙᲘᲗᲮᲐᲗ, ᲒᲘᲒᲐᲜᲣᲮᲐᲗ

რედაქციაში მშრომელთა მრავალი შეკითხვა შემოდის ომაზე, თუმცა ბოლოს ბანს რა ცვლილებებია მოსახლეობის საგადასახადო კანონმდებლობაში და როგორ ხორციელდება იგი. ამასთან დაკავშირებით ვთხოვდით საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის შ. ანანიაშვილს წერილს.

□

□

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲡᲐᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ

□

ქართული მელოდიები მოსკოვში

მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ოთარ თაქთაქიშვილის, სსრკ-ბორო კონცერტი, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

კომპოზიტორს დიდი შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს მოსკოველ კოლეგებთან. მისი ნაწარმოებები შევიდა დედაქალაქის ხაუთეესო კოლექტივებისა და სოლისტების რეპერტუარში. ამჯერადაც ქართველ მუსიკოსებთან — რესპუბლიკის სახალხო არტისტ ნ. ანდღულაძესთან, ხაერთაშორისო კონკურსების ლაურეატ ბ. მდივანთან და ვოკალურ ანსამბლ „გორდეოსთან“ ერთად გამოვიდნენ სრულიად საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდი გუნდი და მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი. დირიჟორობდა ვ. ტეტერი.

მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილმა“, რომელიც დაწერილია გამოჩენილი ქართველი რომანტიკოსი პოეტის ლექსებზე. მოსკოველები დიდი ინტერესით გაეცნენ „ბურულ სიმღერებს“ — ვოკალური ანსამბლისა და შერეული გუნდისათვის.

აღღერდა კომპოზიტორის ერთ-ერთი ადრეული ნაწარმოები — კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. მისი მელოდიურობა და სიოომაზე მსმენელებამდე მშვენივრად მიიტანა პიანისტმა მარინე მდივანმა.

— სულითა და გულით მსურს მივულოცო ოთარ თაქთაქიშვილს ახალი შემოქმედებითი წარმატება, — უთხრა ხაკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვ. სვეშნიკოვმა, — კონცერტმა ცხადყო ამ დიდი მუსიკოსის ოსტატობის შემდგომი ზრდა. ჩვენ, მოსკოველები, ინტერესით მოველით ო. თაქთაქიშვილის ახალი ოპერის „სამი სიცოცხლის“ პრემიერას, რომელზეც ახლა მუშაობს სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელმიანი მუსიკალური თეატრის კოლექტივი.

მოსკოვი, (ხაკდესის კორ.).

საგასტროლოდ რაიონებიდან

შარშან შემოდგომაზე საქართველოს ხალხური ფანტაზიის სახელმწიფო ანსამბლმა, რომელსაც საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები, სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი ხელმძღვანელობენ, ჩვენი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში კონცერტები გამართა. ტურნე მიეძღვნა ანსამბლის დაარსების საიუბილეო თარიღს — 25 წლისთავს. კონცერტებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ანსამბლის ხელმძღვანელობა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ღუებს მრავალ წერილს, სადაც სთხოვენ, რომ ანსამბლმა ყველგან მოაწყოს გასტროლები.

ახლახან ქართველი მოცეკვავეები ყველა საგასტროლო გიმგზავრნენ დასავლურ საქართველოში. ისინი კონცერტებს გამართავენ აფხაზეთსა და აჭარაში. ეწვევიან მახარაძის რაიონს. მათს ხელოვნებას იხილავენ შრომის, ნატანებისა და ენობიერების კოლმეურნეები. ამის შემდეგ ანსამბლი კონცერტების გასამართავად გაემგზავრება ბორჯომში. ეწვევა მესხეთს, ბოლოს ხაშურს.

საგასტროლო მოგზაურობა ივნისის პირველ რიცხვებამდე გასტანს. თბილისში დაბრუნების შემდეგ ანსამბლი საგასტროლოდ საზღვარგარეთ გაემგზავრება.

ფოტორეპორტაჟი

ცისკენ



მიიწევს...

მთაწმინდის პლატოზე შენდება რადიოსა და ტელევიზიის ახალი სატრანსლაციო კოშკი.

მისი მონტაჟი ახლა დამამთავრებელ ეტაპზეა შედის და კოშკის მშენებელთა კოლექტივი — ტრესტ „სამშენებლოფოლადკონსტრუქციის“ რუსთავის სამმართველო მალე დაიწყებს გიგანტური ანძის ანტენის დადგმას, რომელიც თავბრუდამხვევ სიმაღლეზე ადიმართვება.

— ახალი კოშკი — გვიამბობს მაღლივი სამშენებლო უბნის უფროსი ლ. რობინოვი,— აღჭურვილი იქნება უახლესი რადიო-სატელევიზიო მოწყობილობით, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს რადიოსა და ტელევიზიის მუშაობას. ახალი კოშკის სიმაღლე 277,5 მეტრია. მთაწმინდის სიმაღლესაც თუ ვიანგარიშებთ, იგი ზღვის დონიდან თითქმის 1000 მეტრზე იქნება. ამ გიგანტური ნაგებობის წონა 1.350 ტონაა. კოშკის ცენტრალურ ლულაში, რომლის დიამეტრი 4 მეტრია, დაიდგმება სამგზავრო და სატვირთო ლიფტები, რომლებიც მიწასთან შეაერთებენ 71 და 155 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ორ დიდ ჩაქნიკურ შენობას.

კეთილი სიტყვით უნდა მოვიხსენიოთ კომუნისტური შრომის იმ ბრიგადის ზემცოცავი მემონტაჟეები, რომელსაც ხელმძღვანელობს მაღლივ ნაგებობათა ნაკადი ხელმძღვანელი პ. პოპოვა. წლევანდელი ზამთრის ძნელი პირობების მიუხედავად, ისინი მამაცურად ეწეოდნენ შრომითს ომტს, მაღალ სიმაღლეზე ასრულებდნენ ავრების, მონტაჟისა და შედუღების რთულ სამუშაოებს.

ახალი სატრანსლაციო კოშკის მშენებლები მთელ ძალღონეს ხმარობენ, რომ ვადამდე დამთავრონ სამონტაჟო სამუშაობები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის საზეიმოდ.

ს. კილაძე.

• • •

ხურათებზე: ზემოთ — ჭერჭერობით ასე გამოიყურება ახალი სატრანსლაციო კოშკი მთაწმინდაზე; ქვემოთ — ზემცოცავ მემონტაჟეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი პ. პოპოვი (მარჯვნივ) და ელექტროშემდუღებელი ი. ყურაშვილი.

აკმარის ფოტო.

ძნელი გამარჯვება

„დინამო“ (თბილისი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 2:1 (1:0). თბილისი, 20 მაისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი — ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

„დინამო“ (თბილისი) — გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხუციელავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაძე, გ. ნოდია, ყიფიანი (რეხვიაშვილი).

„ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — ფორკაში, ს. კუზნეცოვი (შულეფნკო), მალეგინი, პინჩუკი, ვასენინი, ეფერავლოვი, ვ. კუზნეცოვი, ხეშეთნოვი, ელახეევი, მოროზოვი, ინიშჩენკო.

ბუშინ დაახლოებით 50 ათასი მაყურებელი იყო წარმტაცი მატჩის მოწმე, როცა მოედანზე იხილა წლევანდელი გათამაშების ლიდერთა ორთაბრძოლა.

„ზარიას“ გუნდი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამოვიდა ერევნის „არარატთან“ კარგი ჯამარჯვების შემდეგ და თავისი თამაშით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მის მიერ უკანასკნელ სამ წელიწადში და განსაკუთრებით წელს მოპოვებული წარმატებები შემთხვევითი კი არ არის, არამედ მთელი კოლექტივის ბოლოდროინდ და გაზრდული თამაშის შედეგია.

დინამოელები ბურთს კონტროლს უწევდნენ პირველი წუთებიდანვე. ნელა, აუჩქარებლად ათამაშებდნენ მას. „ზარიას“ თამაშის ასეთი ტემპი ხელს აძლევდა, რადგან ასეთ სიტუაციებში მისი ყველა მოთამაშე ასწრებდა დაცვითი სამუშაოს შესრულებას, გარდა ელისეევისა. და ინიშჩენკოსი. „ზარიას“ მცველები, რომლებმაც პერსონალური მეურვეობის ქვეშ აიყვანეს თბილისელი თავდამსხმელები, თავისუფლად მოქმედი ჟურავლიოვის დამარცხებით, ასეთ აუჩქარებელ თამაშში ახერხებდნენ თბილისელთა იერიშების შეკავებას.

მაგრამ დინამოელთა მოქმედება წუთიდან წუთზე სულ უფრო დამაჯერებელი ხდება. გუნდმა უმაგი ტემპს და მე-20 წუთზე ბრწყინვალე კომბინაცია გათამაშდა მაჩაიძის, ძოძუაშვილისა და გუცაძის მონაწილეობით, რომელიც დამთავრდა იმით, რომ გ. ნოდიამ მაღალი ბურთი მიიღო მარჯვენა გარემარბისაგან და პირველი გოლი გიგანტან „ზარიას“ კარში.

გოლის გატანის შემდეგ თბილისელებმა ჯანაგრძის აქტიური მოქმედება იერიშებში მონაწილეობდა ყველა მოთამაშე, კარში ურტყამდნენ მაჩაიძე, პეტრიაშვილი, ნოდია, მაგრამ ფორკაშია საიმედოდ თამაშობდა.

მატჩის მსაჯი ი. ლუკიანოვი იძულებული იყო ვაიფრთხილებინა მარცხენა მცველი პინჩუკი, რომელიც ბუცაკოვის ნეიტრალიზებას ცდილობდა აკრძალული ხერხებით. ამ წუთებში გუცაძემ მრავალფერთვიანი ფინტების ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ „ზარიას“ მწვრთნელმა, შემდეგ, მეორე ტაიმში, მას მეურვე გამოუცვალა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. გუცაძემ გუშინ ისეთი თამაში აჩვენა, რომ ერიც დიდი ხანია არ გვინახავს — სისწრაფე, ნაირნაირი ფინტები. თავის ფრაზე ჯახსნა, ჩაწოდებანი და კარში დარტყმები. იგი გამუდმებით იცვლიდა ადგილს და მთელი 90 წუთი არ ასვენებდა ვოროშილოვგრადელთა მცველებს.

„ზარია“ პირველ ტაიმში ძირითადად თავს იცავდა, მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმაში ჰყავდა ისეთი ფორვარდები. როგორიც არიან სემიონოვი და ინიშჩენკო, რომლებმაც კიევის „დინამოს“ სკოლა გაიარეს და ახალგაზრდა ენერგიული ელისეევი. ჯაბამის ბოლოს სემიონოვმა კარგად ჩაჯაბა ეფრიშში მარჯვენა მცველი, მაგრამ ჯოჯიმ ბურთი კუთხურზე გადაატანა მისი დარტყმის შემდეგ.

სტუმრები გაეჭიანურდნენ მეორე ტაიმში. უფრო სწრაფად და გამბედოლად დაიწყეს თამაში და უკვე მეორე წუთზე თბილისელთა მეკარემ ბრწყინვალე ნახტომში მოიგერია მოროზოვის მიერ დარტყმული ბურთი. თბილისელებიც ვალში არ დარჩნენ — ყიფიანმა და ორჯერ გ. ნოდიამ მოსინჯეს ფორკაშის ოსტატობა. თამაშის ტემპმა თვალსაჩინოდ იმატა და ბოლომდე არ შენელებულა.

ორივე გუნდმა უჩვენა კარგი თამაში თავდასხმაში. საგოლო მომენტები კიევიდისკოპური სისწრაფით იცვლიდნენ ხან ერთ და ხან მეორე კართან, მაგრამ მეკარეები საიმედოდ იდგნენ. „ზარიამ“ ანგარიში ჯაქვითა მე-60 წუთზე, როცა სემიონოვმა მშვენიერად მიაწოდა ბურთი საჯარიმო მოედანზე ელისეევს, მან კი იგი ნახევარცველ ვ. კუზნეცოვს დაუგორა და მანაც არ დააყოვნა დარტყმა. აქვე ინიშჩენკოს სამეალება ჰქონდა გაეზარდა ანგარიში, მაგრამ ბურთი ასცდა კარს. ამ დროს ბრწყინვალედ თამაშობს ჯოჯია. რომელმაც ჯარმოუდგენელი ნახტომებით მოიგერია ინიშჩენკოსა და ვ. კუზნეცოვის მიერ დარტყმული ბურთები.

დინამოელებმა ყიფიანი შეიყვანეს რეზერვიდან. 35-ე წუთზე გუცაძემ მარცხენა ფრთაზე გადაანაცვლა. მოტაეუა ორი მეკეული, მაგრამ მიხაილ — ჟურავლიოვმა ზედ საჯარიმო მოედნის ხაზთან შეაჩერა ბურთი. ნოდიამ შორეული კუთხესთან ჩაკიდა ბურთი. რეზვიაშვილმა მეკვლე მალეგინთან ორთაბრძოლაში იგი დაუგდო ასათიანს, მან კი ძალიან ძნელი მდგომარეობიდან შეძლო მისი კარში გატანა — 2:1. თბილისელები კვლავ მწვანედ უტიენენ თამაშის ბოლომდე.

ამ ლამაზი და ძნელი ჯამარჯვებით დინამოელები სათავეში ჩაუდგნენ გათამაშების ცხრილს.

ნ. ახალკაცი.

სპორტის ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 21 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბ.)	8	6	1	1	13-3	13
„ზარია“	8	6	1	1	13-5	13
ცსკა	8	5	1	2	12-8	11
„დინამო“ (კ.)	8	4	2	2	12-10	11
„ზენიტი“	7	3	3	1	12-8	9
„დნეპრი“	8	2	5	1	10-9	9
„ლოკომოტივი“	7	2	3	2	4-5	7
„დინამო“ (მ.)	6	2	2	2	7-6	6
„სპარტაკი“	7	2	2	3	7-8	6
„არარატი“	8	2	2	4	7-9	6
„დინამო“ (მნ.)	8	1	4	3	4-8	6
„ტორპედო“	8	1	4	3	4-12	6
„არარატი“	7	1	3	3	9-7	5
„ნეფტჩი“	7	2	1	4	4-7	5
„კაირატი“	7	0	5	2	4-7	5
სკა	8	1	1	6	4-14	3

მატჩები, შედეგები

გუშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურის მატჩები.

ერევნის „არარატი“ მასპინძლობდა გათამაშების აუტსაიდერს დონის როსტოვის სკას. ორივე გუნდმა წინა შეხვედრაში ორ-ორი ქულა დაკარგა. უკომპრომისო ბრძოლაში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1:0.

მოსკოვის „ტორპედოს“ ლვოვის „კარპატა“ ეწვია. ასპარეზობის შედეგი ფრე — 0:0.

მატჩი მინსკში ადგილობრივ „დინამოსა“ და ალმა-ათის „კაირატს“ შორის დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

„სპარტაკი“ საფლავარგარეთ

მოსკოვის „სპარტაკი“ ტურნეს ატარებს აფრიკაში. პირველი მატჩი მას ჰქონდა ზაირის რესპუბლიკაში დედაქალაქის „ვიტა-კლუბთან“ და დამარცხდა ანგარიშით 0:1.

რამდენიმე სტრიქონით

● **ბრწყინვალედ** იასპარეზა კოსტანტინეს თეიკარნაძეს შატტელმა ზეინაყლმა დავით რიგერტმა. ქეიმძღვე ათლეტების შეჯიბრებაში საბჭოთა ათლეტმა დიდი ოქროს მედალიც მოიპოვა დაორი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა— ატაცეში 166 და სამეჯიდის ჯამში 557,5 კილოგრამი.

გუშინ ევროპის ჩემპიონი პირველ მძიმე წონაში გახდა საბჭოთა სპორტსმენი იან ტალტხი.

● **მუვიდობის** ვილორბოლის უკანასკნელი ეტაპის წინ საბჭოთა სპორტსმენები ლიდერობდნენ გუნდურ ჩათვლაში. ისევ შეიცვალა პიროვნული ლიდერი — უკანასკნელ ეტაპზე ყვითელი მაისურით გამოვა ჩეხოსლოვაკიელი მორავეცი, რომელიც ლენინგრადელ ვ. ნელიუბინს 5 წამს უკეთებს. გუშინ რბოლას ფინეთში ჰქონდა ადგილი.

გუნდური პირველი ადგილი მეცხრედ მოიპოვეს საბჭოთა მრბოლელებმა. პირადი პირველობაში გამარჯვება ჩეხოსლოვაკიელმა მორავეცმა. მას ორი წამით ჩამორჩა ვ. ნელიუბინი.

● **სოფიის** ცენტრალურ სტადიონზე რსფსრ-ის ლია ჩემპიონატზე მსოფლიოს რეკორდსმენმა ლენინგრადელმა **ნადეჟდა ჩიჟოვამ** 20 სანტიმეტრით გაიუმჯობესა საკუთარი მსოფლიო რეკორდი — ბირთვი ჭარა 20 მეტრსა და 63 სანტიმეტრზე.

● **ბუდაპეშტში** დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთეულში. გაიმარჯვა სახელგანთქმულმა უნგრელმა სპორტსმენმა, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა **ანდრაშ ბალცომ,** რომელმაც 5.303 ქულა დაგროვა. მეორე ადგილზეა ლენინელი **პავლე ლედნევი** — 5.150 ქულა, შესამეზე — უნგრელი პალ ბაკო — 5.056.

სპორტული კალეიდოსკოპი

ეროვნული ნიჭიერება

ისტორია...

მთელი მსოფლიოს სპორტის მოყვარულთათვის ცნობილია მძიმე წონის ამერიკელი მოკრივის ჯორჯ ფორმენის სახელი. 1968 წელს ეს ზანგი სპორტსმენი მექიკოში დაჯილდოვდა ოქროს ოლიმპიური მედლით, რამდენიმე წლის შემდეგ კი პროფესიონალებში გადავიდა. რა წარმატებანი მოიპოვა მას შემდეგ ყოფილმა ოლიმპიელმა? მისი გამოსვლების ხაზი აღნიშნულია 26 გამარჯვება (33 ნოკაუტით) და არ არის არც ერთი დამარცხება.

თუ წინათ ექსპერტები აღნიშნავდნენ მხოლოდ ფორმენის არაჩვეულებრივ ფიზიკურ ღონეს, ახლა აღნიშნავენ მოკრივის კარგ ტექნიკასაც. სპორტსმენის „საბრძოლო“ წონა დაახლოებით 99 კილოგრამია.

მსოფლიო რანგების ცხრილში ფორმენი მიხაილ ბელთათმანად ითვლება. მას წინ უსწრებენ მხოლოდ ახლანდელი ჩემპიონი ჯო ფრეზერი და ექს-ჩემპიონი მოჰამედ ალი. და ეი ახლა ფორმენმა განაცხადა, რომ მზად არის შეხვდეს ერთსაც და მეორესაც.

პრიზი... დამარცხებულს

იუნესკოს სპეციალური ტროფეი — „ბრძოლაში კეთილშობილებისათვის“ გადასცეს მოყვარულ ველოსიპედისტს ჯონ ლეგარტს. ინგლისში ვამართული ტრადიციული რბოლის დროს იგი უკანასკნელი ეტაპის წინ მეორე ადგილზე იყო. ფინიშამდე ცოტა ხნით ადრე დასკვნით ეტაპზე იგი შეჩერდა, რათა დახმარება გაუწია რბოლის ლიდერისათვის — ფრანგი კლოდ ალგუს პარსესისათვის, რომელსაც ავარია მოუვიდა. დამარცხებით კი დაეხმარა, მაგრამ ამის შემდეგ ვეღარ გაუსწორო ლიდერს.

ლაზერი და...

ერთმა სანტიმეტრი განსხვავება იყო სიგრძეში მსტომელთა რომის ოლიმპიადის გამარჯვებულსა და ვერცხლის პრაზიორს შორის. და თუმცა ახლა არავინ არ აპირებს მსაჯთა გადწყვეტილების გადასინჯვას, შეიდგების განსაზღვრის სიზუსტის გაუჯობესების საკითხი მეტად აქტუალურია. ბევრი რამ დამოკიდებულია ამაზე, თუ რა კუთხით დაშვება მიწაზე სპორტსმენი, ზევით ამოყრის რამდენიმე ვრამ ქვიშას, თუ ქვიშა ჩაიყრება მის ნაკვალევში... ინგლისელ ტანმოვარჯიშეთა გუნდის ხელმძღვანელის არტურ ბოლდის აზრით, ამ შემთხვევებში განსხვავება ორ სანტიმეტრს აღწევს.

ბ. გოლდმა ზამოაყენა ორი ორიგინალური, თუმცა ძვირადღირებული საშუალება, რომლებიც შეუსაბამება მეცნიერებისა და ტექნიკის დღევანდელ მიღწევებს. პირველი საშუალება „ბამსპვალოს“ სიფრეი ღრმეულის ზედაპირზე ლაზერის სხივებით, რომელთა შორის ერთი სანტიმეტრი ინტერვალი იქნება.

უამრავ ფულს ხარჯავენ მორბენალთა ფოტოფიენიშის დასადგენად, თქვა გოლდმა. ხიზუსტი წამის მეასედსა და მეათასედს აღწევს. სიზუსტის ასეთივე დონე უნდა იყოს მსტომელთა შედეგების ფასსაზღვრის დროსაც, ოლიმპიურ ასპარეზობაზი მაინც. (საკდესის კორ.).

„რიგა“—საჭადრაკო სასტუმრო...

**გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩიის“ ინფორმაციით, ბაკოში ჩამოსულ ბ. სპასკის ინტერვიუ აქვს მიცემული ბაკინელ ჟურნალისტ ალ. ალიევისა. ინტერვიუ ეხება ბ. სპასკის ბრძოლას ტიტულისთვის, ბ. ფიშერთან, ბ. ფიშერის ბ. სპასკისადმი ეთიკურ-ფსიქოლოგიურ ბრძოლას